მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14(28) 2012 წ. 16-31 ივლისი ფასი 50 თეთრი

სჩიქია ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებსაც შეეხო

აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

ბოლო ხანს დედამიწაზე გახშირებული კატაკლიზმები უკვე აღარავის აკვირვებს, მაგრამ, რაც 18 ივლისს კახეთს თავს დაატყდა, მართლაც, რომ განსაცვიფრებელია. სად კატაკლიზმები და სად სტიქიაო?– იკითხავს მავანი, მაგრამ რა შეიძლება ეწოდოს ბუნების იმ მოვლენას, როცა შუა ზაფხულში, ატმობასა და ყურძენში თვალის შესვლისას 20–30 სანტიმეტრის სისქის სეტყვა–ყინული დაეფინება დედამიწას, როცა ხეხილის ბაღიც და ვენახიც ნავენახარსა და ნაბადარს დაემსგავსება და ნოემბერ–დეკემბერი დაგიდგება პაპანაქება სიცხის მაგივრად? უნებურად გაგახსენდება ისტორიის წიგნიდან ამოკითხული მურვან–ყრუს, შაჰ–აბასის, თემურ ლენგის თავზე ხელაღებული ბრბოს მიერ გავერანებული კახეთის აღწერილობა. ჯვარი გვწერია...

დღეს კახეთი საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების თანადგომითა და დახმარებით ნელ–ნელა იშუშებს სტიქიისგან მიყენებულ ჭრილობებს– არავინ დარჩეს თავშესაფარისა და საკუთარი ჭერის გარეშე. ყველა სახლს

გომბორი

გომბორი

გაუკეთდა სახურავი, აღდგენილ იქნა დანგრეული კედლები, მოსახლეობას დაურიგდა კვების პროდუქტები, შხამქიმიკატები, ვენახის მოსავლელი წამლები. მოსახლეობას უკვე მიეწოდება სასმელი წყალი, ელექტროენერგია, მალე აღდგება ბუნებრივი აირის მიწოდება. დღედაღამ მორიგეობენ კახეთში ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები, სადღეღამისო მუშაობაა

კოჭგანი

კოჭგანი

გაჩაღებული ქუჩებისა და უბნების ნაგვისაგან, სამშენებლო ნარჩენებისგან გასაწმენდად.

სტიქიამ ჩვენი მუნიციპალიტეტის მთიანი ზონის სოფლებსაც გადაუარა, დაისეტყვა, წყალდიდობითა და ქარიშხალისაგან დაზიანდა კოჭბანისა და გომბორის თემების სოფლები. მოიშალა ინფრასტრუქტურა–წყალდიდობისა და ქარიშხალისაგან მწყობრიდან გამოვიდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, საყრდენი ბოძები, მოიშალა სასმელი წყლის სათავე–ნაგებობები და სასმელი წყლის ქსელი, მოვარდნილმა წყალმა მოგლიჯა დიდი ხეები, წალეკა ნათესები, დააზიანა საცხოვრებელი სახლების შენობები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი სპეციალური კომისიის მიერ ხდება სოფლებისათვის მიყენებული ზარალის დადგენა. აქ უკვე მიმდინარეობს ელექტროგადამცემი ხაზებისა და საყრდენი ბოძების აღდგენითი სამუშაოები.

ლევან ნაკულაშვილის ფოტოები

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

27 ივლისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** <u>ილია ჯიაურელი</u> უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის № 20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის ***ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის*** უფროსმა <u>ნინო ქურხულმა.</u>

სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა მოხსენება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის იანვარ-ივნისის თვეების ბიუჯეტის შესრულების სესახებ (მომხსენებელი ქ-ნი ნინო ქურხული).

დეპუტატებმა საკრებულოს სხდომაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები და განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ვრცელ ანგარიშს საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომერში.

<u>24 ივლისი, 2012 წელი</u>

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ლაშა შიოშვილი და გიორგი ბეჟიტაშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსები, ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები ესწრებოდნენ.

თათბირზე როგორც ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის სამსახურის უფროსმა ჯ. ოსიაშვილმა განაცხადა, მიმდინარე წლის პირველი აგვისტოდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მსხვილფეხა რქოსანი (3 თვიდან) უფასოდ აიცრება თურქულზე. აცრა თითოეულ სოფელში ჩატარდება ორ–ორი დღის განმავლობაში, დაიწყება გომბორის თემიდან და მოიცავს ყველა სოფელს.

თათბირზე, ასევე, განსაკუთრებულად გამახვილდა ყურადღება იმ პრობლემების დასახელებაზე, რომლის გადაჭრაშიც სოფლის მოსახლეობას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა სჭირდება.

ლანიშვნა

<u>თეონა ტაველიშვილი</u>

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

დაიბადა 1985 წელს, ქ. საგარეჯოში.

2002 წელს დაამთავრა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლა.

2002–2009 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ამავე სასწავლებლის საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურაში.

2006–2008 წლებში სტაჟირებას გადიოდა საქართველოს საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში.

2008 წელს მუშაობდა შსს პოლიციის აკადემიაში, შემდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში იურისტად.

2009 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

2011 წელს იყო საერთაშორისო მუნიციპალურ იურისტთა ასოციაციის სტაჟიორი.

2011–2012 წლებში დაამთავრა აშშ ემორის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურა.

2011–2012 წლებში სტაჟიორად იმყოფებოდა ქ. დეკატურის მერიაში (ატლანტდა, ჯორჯია, აშშ).

2012 წლის ივლისიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსია.

მილოცვა

ოჯახის შექმნას ვულოცავთ შესანიშნავ ახალგაზრდებს – <u>თეონა ტაველიშვილსა და დათო ბორაშვილს.</u>

დაე, ქართული ტრადიციებით გამყარებული და ჭეშმარიტად მართლმადიდებლური, ქრისტიანული მადლით ყოფილიყოს გაცისკროვნებული თქვენი ოჯახი.

სიყვარული, ურთიერთგაგება და აკვანთა სიმრავლე!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

ზაფხული ჩვენს მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურა — მშენებლობა-რეაბილიტაცია

საგარეჯო

წყაროსთავი

გიორგიწმინდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლევან ნაკულაშვილის ფოტოები

ისევ და ისევ ჩვენი ჯანმრთელობისათვის

სპეციალისტები გვირჩევენ

ვერიდოთ ციმბირის წყლულს, ანუ ჯილეხს

ციმბირის წყლული (ჯილეხი) ზოოზონური მწვავე ინფექციური დაავადებაა. ადამიანის ორგანიზმში იგი მიმდინარეობს კანის ან სეპტიური ფორმით. ცხოველებში კი მხოლოდ გენერალიზებული ფორმით. ანუ, ჯილეხით დაავადებული ცხოველი აუცილებლად კვდება. საბედნიეროდ ასე არ ხდება ადამიანის შემთხვევაში.

ციმბირის წყლული ცნობილი იყო უძველესი დროიდან. იგი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ რომში, საბერძნეთში,სპარსეთში, საფრანგეთში. იგი ყველაზე ხშირია ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებში. ამ დაავადებას "ციმბირის წყლული" ს. ანდრეევსკიმ უწოდა.

დაავადების გამომწვევი ბაქტერია გარემოში იკეთებს სპორას, რის გამოც დიდხანს ძლებს. დაავადება ვითარდება ადამიანის ორგანიზმში მიკრობის მოხვედრისას. ადამიანი ავადდება ჯილეხით დაავადებულ ცხოველთან უშუალო კონტაქტით, ცხოველის დაკვლით, გატყავებით,ან აკაფვით, აგრეთვე, ტყავისა და ბეწვის დამუშავების დროს. ადამიანი შეიძლება დაავადდეს დაავადებული ცხოველის ხორცის საკვებად მიღებისას (თერმულად დამუშავებისას ციმბირის წყლულის გამომწვევი სწრაფად იღუპება). ძალიან იშვიათად შეიძლება მწერის კბენითაც გადაეცეს ადამიანს ეს დაავადება. იშვიათია დაინფიცირებული ნიადაგით განპირობებული დაავადების შემთხვევები.

დაავადება უფრო ხშირია მამაკაცებში, სეზონის მიხედვით შემთხვევათა 70 პროცენტი ზაფხულ-შემოდგომაზე მოდის. ჯილეხს თამამად შეიძლება ეწოდოს პროფესიული დაავადება,რადგან უფრო ხშირად ავადდებიან სოფლის მეურნეობის მუშაკები. ჯილეხის კანის ფორმის დროს გამომწვევი შეიჭრება დაზიანებული კანიდან ან ლორწოვანის ზედაპირიდან. ინკუბაციური პერიოდი 2-8 დღე გრძელდება. კანზე გამომწვევის მოხვედრისას ჩნდება ზედაპირიდან წამოწეული წითელი ლაქა, რომელიც რამდენიმე საათში ბუშტუკად იქცევა. ბუშტუკი იზრდება და 1-2 დღეში მის ცენტრში შავი ქერქი წარმოიქმნება. ქავილის დროს ან თავისთავად ბუშტუკი სკდება და წყლულად იქცევა. წყლული თანდათან დიდება. წყლულის განვითარებას თან სდევს 38-39 გრადუსი ტემპერატურა. მეხუთე-მეექვსე დღიდან სიცხე ეცემა და ავადმყოფის საერთო მდგომარეობა უმჯობესდება. ციმბირის წყლულის კარბონკული უმტკივნეულოა, რითაც იგი განსხვავდება სტაფილოკოკური კარბუნკულისაგან. აღნიშნულის გამო ხალხმა დაავადებას "ბედნიერი" უწოდა. ციმბირის წყლულის კანის ფორმა 80 პროცენტში მიმდინარეობს მსუბუქად და საშუალო სიმძიმით. თვალბუდის არეში არსებულმა წყლულმა შეიძლება მხედველობის დაკარგვა გამოიწვიოს.

ციმბირის წყლულის ფილტვის და ინტესტინური (ნაწლავის) ფორმა ხშირად სეპტიურად მიმდინარეობს.უფრო ხშირად ვითარდება ინფექციურ-ტოქსიკური შოკი. ავადმყოფები იღუპებიან დაავადების 1-4 დღეში.

ჯილეხის დიაგნოსტიკა დამყარებულია ეპიდემიოლოგიურ, კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებზე. ჯილეხის მკურნალობა კომპლექსურია: გამოიყენება ჰეტეროგენური გლობულინი, ანტიბიოტიკები და სიმპტომური საშუალებები. ლოკალური ფორმის შემთხვევაში პროგნოზი კეთილსაიმედოა. გენერალიზებული ფორმისას გამოჯანმრთელება იშვიათია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციმბირის წყლული ზოონოზური დაავადებაა, ანუ ადამიანს დაავადება გადაეცემა დაავადებული ცხოველიდან. დაავადებული ადამიანიდან ადამიანს დაავადება არ გადაეცემა,

ამიტომ პროფილაქტიკური ღონისძიებების სიმძიმის ცენტრი გადახრილია ვეტერინალურ-სანიტარული ღონისძიებებისაკენ. უნდა დრო-ულად მოხდეს დაავადებული ცხოველების გამოვლენა (ცხოველი აუცილებლად კვდება 2-3 დღეში). დაცემული ცხოველები იმარხება სპეციალური წესების დაცვით, ტარდება ტერიტორიის დეზინფექცია. დაავადებული ცხოველის კერაში ხდება დანარჩენი ცხოველების ვაქცინაცია, ანუ თამამად შეიძლება ითქვას: არა გვაქვს დაავადება ცხოველებში, არ გვეყოლება დაავადებული ადამიანი. ძალიან იშვიათად ადამიანი შეიძლება დაავადდეს უშუალოდ ნიადაგთან კონტაქტისას.

უნდა აღინიშნოს,რომ 2011-2012 წლებში საგარეჯოს რაიონში მოიმატა ციმბირის წყლულით დაავადებულთა შემთხვევებმა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მეცხოველეობით არის დაკავებული. 2010 წელს იყო სამი შემთხვევა, 2011წელს-8, ხოლო 2011წლის ექვსი თვის მონაცემებით-8 შემთხვევა. ყველა შემთხვევაში დადგენილი იქნა ინფექციის წყარო და სურსათის უვნებელყოფის სამსახურის მიერ საკმაოდ ოპერატიულად იქნა შესაბამისი ღონისძიებები გატარებული- 8შემთხვევიდან 7 შემთხვევა იყო კანის ფორმით მიმდინარე, ხოლო 1 შემთხვევა თვალბუდის ფორმით.

ლელა ოთარაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.

ზაფხულის სამომხმარებლო კალათა

რა ღირს საგარეჯოში სოფლის მეურნეობის პროდუქტი?!

ხორცი
ძროხა–12 ლარი
ღორი–12ლარი
ცხვარი–12 ლარი
ქათამი–6 ლარი
ყველი–6–დან ზევით
სულგუნი–10 ლარი
ბოსტნეული
კიტრი–0,60 და ზევით
პომიდორი–0,80; 1,20 ლარი
ბადრიჯანი–0,70; 1 ლარი
კარტოფილი–0,50; 0,80
სტაფილო–2 ლარი
კომბოსტო–1 ლარი
წიწაკა სამწნილე–0,50;
ბულგარული– 0,70
წითელი– 2ლარი
ხახვი–0,70; 0,80 ლარი
პარკოსანი:
ლობიო მწვანე–1 ლარი
ბაღჩეული:
საზამთრო–0,35 ლარი
ნესვი – 0.40 ლარი

ხილი:
ატამი–0,40; 0,80 ლარი
მსხალი – 0.80-1 ლარი
ქლიავი – 0.50 ლარი
ვაშლი –0.80 – 1 ლარი
ვაშლატამა – 2 ლარი

როგორია ჩვენი დამოკიდებულება წყლის მიმართ?!

გაუფრთხილდეთ სასმელ წყალს

წყალი უნიკალური და უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს შემადგენელი უზრუნველი კომპონენტის - წყლის დაცვას.

ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია უზრუნველყოს წყლის დაცვა, არ დაუშვას მისი დაბინძურება და დანაგვიანება.

ჩვენი რაიონი მდიდარია სასმელი წყლის რესურსებით, ამის დასტურია ის, რომ საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე 46 სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა და უამრავი კერძო ჭაბურღილი და წყაროა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის ლაბორატორია ინტენსიურად ახდენს სოფლებში არსებული სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების, ქსელების შემოწმებას, სასმელი წყლის ნიმუშების ქიმიურ და ბაქტეოროლოგიურ გამოკვლევას. მიმდინარე წელს 260-მდე ქიმიური და ბაქტეროლოგიური ანალიზი ჩატარდა და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უამრავ შემთხვევაში სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მაჩვენებელი არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს. ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებში კოლინდექსის ნაცვლად სამისა, მერყეობს 3-დან 150 - -მდე, ხოლო ქიმიური ჟანგვადობა, ნაცვლად 3-ისა, 7-მდეც აღწევს.

ეს ნაწილობრივ იმის შედეგიც არის, რომ რაიონში არსებული სათავეების უმეტესობა ზედაპირული წყაროებით მარაგდება, ხშირი უამინდობა (წვიმები) კი დამატებითი ფაქტორი ხდება სასმელი წყლის დაბინძურებისა.სათავეების დიდი ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს სერიოზულ რეაბილიტაციას ქსელებთან ერთად. ამის მაგალითი იყო სოფელ ნინოწმინდაში მაისში მომხდარი მცირე ნაწლავური ინფექციები, რაც გამოწვეული იყო სათავიდან გამომავალი თითქმის ორკილომეტრიანი წყალსადენის ქსელის მრავალ ადგილას დაზიანებით. თუმცა, ზემოაღნიშნული პრობლემა დროულად იქნა აღმოფხვრილი და ამჟამად მთლიანად იცვლება დაზიანებული მაგისტრალი, რის შემდეგაც მოსახლეობა უკეთესი ხარისხის წყალს მიიღებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოფ. პატარძეულის "ფიდინაანთ სათავის" სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა, რომელსაც არა აქვს სანიტარიული დაცვის ზონა და საქონელი ინტენსიურად აბინძურებს ზედაპირულად მომავალ სასმელ წყალს, რამაც შეიძლება სერიოზულ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ზაფხულში ტემპერატურის მატებასთან ერთად განსაკუთრებით აქტიურდება წყლის მიკრო ფლორა, რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს საშიში ნაწლავური ინფექციების და გავრცელების მიზეზი.

რაიონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ჩვენს სამსახურს შეძენილი აქვს მეტად ეფექტური სასმელი წყლის სადეზინფექციო საშუალებები, როგორც თხევადი ქლორის, ასევე ქლორიანი კირის სახით, სოფლის რწმუნებულები რეგულარულად თანამშრომლობენ ზემოაღნიშნული სადეზინფექციო საშუალებით რეზერვუარების და ქსელების რეცხვა-დეზინფექციას.

ჩვენის მხრივ, ისევ და ისევ მივმართავთ მოსახლეობას- გაუფრთხილდნენ და არ დაანაგვიანონ სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია. გახსოვდეთ, რომ ხარისხიანი სასმელი წყალი ჩვენი ჯანმრთელობის საწინდარია.

ხათუნა ჯანიაშვილი,

აიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორი.

საგარეჯოელები თურქეთში

„იმედი“ – ბაიბურთის უცვლელი და სანატრელი სტუმარი

თურქეთში, მდინარე ჭოროხის სათავეებთან, ზღვის დონიდან 1500 მეტრზე, ალპურ ზონაში მდებარეობს ულამაზესი ქალაქი ბაიბურთი, სადაც ყოველი წლის ზაფხულში ტარდება დედე ქორქუთის სახელობის ფოლკლორული ფესტივალი, რომელიც იუნესკოს ეგიდით ტარდება.სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორული კოლექტივები, ამ ქალაქის და მეზობელი პუნქტების მოსახლეობას აცნობენ თავიანთ ეროვნულ ფოლკლორს. ფესტივალის დებულებიდან გამომდინარე ამ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მოზარდები და ერთი და იმავე ქვეყნის ერთი და იგივე ანსამბლი არასოდეს მიუღიათ. ასეთი წესი იყო ამ ბოლო ხანებამდე, ვიდრე ამ ხუთიოდე წლის წინ იგი პატარა ქართველმა მოცეკვავეებმა არ დაარღვიეს და ეს პატარები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ (მხატვრული ხელმძღვანელი თინა მეზვრიშვილი, ქორეოგრაფები ფიქრია ჩეკურიშვილი და გია კუჭუაშვილი) მოცეკვავეები არიან. თუ როგორ მოხდა ეს, ამის შესახებ გვესაუბრება **თინათინ მეზვრიშვილი.**

– დედე ქორქუთის ფესტივალზე, რომელიც ყოველწლიურად ბაიბურთში იმართება,აქაურების გასაცნობად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორულ კოლექტივებს. ფესტივალის დებულებით მასზე მხოლოდ მოზარდთა კოლექტივები დაიშვებიან. მაგრამ,მოხდა ისე,რომ საქართველოდან მოზარდების გაშვების საქმე ჩავარდა და მათ ნაცვლად ჩვენი ბავშვები გაუშვეს. მას შემდეგ უკვე ზედიზედ მეხუთე წელია „იმედი“ მონაწილეობს ამ ფესტივალში და ისე შეაყვარეს და დაამახსოვრეს თავი ბაიბურთელებს, რომ თითქმის ზეპირად იციან ანსამბლის ყველა წევრის სახელი. წელს, როცა ზოგიერთი მათგანი ვერ წამოვიდა ბაიბურთში, ხელებით და ჟესტიკულაციით გვეკითხებოდნენ,ასეთი და ასეთი ბავშვი სად არის, რატომ არ წამოგიყვანიათო?

– წლევანდელ ფესტივალში თქვენი მონაწილეობის შესახებ რას გვეტყვით?

– წელს ბაიბურთში უკვე მე-17 ჩატარდა ფესტივალი და მასში თურქეთის 4 ადგილობრივ კოლექტივთან ერთად მონაწილეობდნენ: რუმინეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, მაკედონიის, კვიპროსის, აზერბაიჯანის, ბოსნიის და საქართველოდან ჩვენი ანსამბლი. თურქეთში 7 დღე დავყავით. კონცერტები გავმართეთ არა მარტო ბაიბურთში, არამედ მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში. ყველგან, სადაც კი ჩვენი პატარები გამოჩნდებოდნენ სცენაზე,ბოლო არ უჩანდა ოვაციებს, სიხარულისა და აღტაცების ცრემლებს. განსაკუთრებით მოხიბლეს „იმედის“ სოლისტებმა თავიანთი ერთგული თურქი მაყურებელი წლევანდელ ფესტივალში. როგორც აღვნიშნე, ფესტივალზე ერთი და იგივე ანსამბლი არასოდეს მეორდება და როცა ამხელა პატივს გვცემენ და მეხუთედ გიწვევენ ფესტივალზე, ცდილობთ ყოველთვის ერთი და იგივე ნომრით არ წარვდგეთ მაყურებელთან. წელს „იმედი“ განახლებული პროგრამით წარსდგა თურქი მაყურებლის წინაშე. განსაკუთრებული მოწონება და შეფასება ხვდათ წილად ცეკვა „ძველი თბილისის სურათებს“, რომლის სოლისტები იყვნენ თათია გულბანი და თათია ბუზიაშვილი – დიდი და პატარა თათია. ძირითადში მათი დამსახურებაა ის წარმატება,რასაც ჩვენმა პატარებმა ამ ფესტივალზე მიაღწიეს და მიიღეს საგაისო მიწვევა. მათ იმდენად შეაყვარეს და დაამახსოვრეს მაყურებელს თავი,რომ როცა ქუჩებში მივდიოდით ყველა ჩერდებოდა და ღიმილით უთითებდა ჩვენზე.განსაკუთრებით პოპულარული პატარა თათია იყო, რომელიც იქაური მარკეტებიდან უსაჩუქროდ არასოდეს გამობრუნებულა.

ბაიბურთელები ასევე მოხიბლა „ელია გოგოს“ სიმღერის ფონზე შესრულებულმა ლაზურმა ცეკვამ,ცეცხლოვანმა მთიულურმა,რომელიც ძალიან მოეწონათ და ლამის დაწოლილებმა იტირეს.

საერთოდ, სხვა ქვეყნებისა არ იყოს, თურქებსაც ძალიან მოსწონთ ჩვენი ეროვნული ფოლკლორი.

– ბაიბურთელი მაყურებლის სიმპატიებისა და მალე ნახვის სურვილთან ერთად კიდევ რით დაგვიბრუნდნენ ჩვენი პატარები?

დასასრული მე-8 გვ

36525 დღიდან ერთი ლამაზი დღეც

იუბილე

ქალაქის რწმუნებული გ. ქვლივიძე საჩუქარს გადასცემს იუბილარს

მოლოდინადქცეული თვალებიდან საუკუნოვანი მეხსიერება იმზირება-100 ზაფხულსა და ამდენივე ზამთარს გაყოლილი სიხარული თუ გულში ბზარებად დამჩნეული სიმძიმე წაღმა-უკუღმა მბრუნავი ცხოვრების დოლაბისა... “სადაურსა სად წაიყვან”-ო, ვინ იცის როდის ამოთქვა ეს სიტყვები ქვეყნის უსამართლო ტრიალ-ბზრიალით გულშეღონებულმა ქართველმა. თუმცა, ქართველი ერთადერთია, (ყოველ შემთხვევაში გასული საუკუნის 90 წლებამდე ასე იყო), ძნელად, ტკივილით რომ წყდება მშობლიურ ფესვებს-გამოუვალი მდგომარეობის გამო. ასეთი ტკივილით წამოვიდა ახალციხის რაიონის სოფელ ვალედან 27 წლის წინ ჩემი გამორჩეული რესპოდენტი და თქვენი დღევანდელი სტუმარი ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო-ქალბატონი დარო ჯინჭველაძე-გიორგაძე,ერთადერთ ქალიშვილს-თამრიკო(მერი) გიორგაძეს, საგარეჯოელი სულიკაშვილების რძალს გამოჰყვა სიბერის წლების გასატარებლად... საოცარი ლექსიკური მარაგით, ძველ ქართულით, მესხურ კილოზე ტკბილმოუბარი ქ-ნი დარო 100 წლის შესრულდა 14 ივლისს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გია ჩალათაშვილის, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ილია ჭიაურელის სახელით ქალაქ საგარეჯოს რწმუნებულმა გია ქვლივიძემ თავის თანაშემწეებთან ერთად ქალბატონ დაროს იუბილე მიულოცა და 300 ლარი ფულადი დახმარება გადასცა. სტუმრების დანახვაზე აწრიალდა,თავისებურად აფორიაქდა მესხურად თავდაბურული მოხუცი. სწორედ ისე დალოცა მისი პატივისმცემელი რაიონის თავკაცები და იქ მყოფი ადამიანები,როგორც ქართველ ქალებს შეეძლოთ წინა საუკუნეებში-გულიანად და ტკბილად,როგორც მოხუცი ბებიები თავიანთ მონაგარს დალოცავენ, დედა ღვთისმშობელს შეავედრებენ მათ ჯანმრთელობას. გვერდით თავისი დიდი იმედი და პატრონი-შვილიშვილი გია უზის. ისე ეფერება,როგორც პატარაობისას,იქ,ვალეში სტუმრობისას,თუმცა,გია უკვე იმ ასაკშია,თავადაც რომ შვილიშვილები უსხედან მუხლებზე,ამირანისა და ნაცარქექიას საგმირო საქმეებს რომ უყვებიან და ქართველობის ფენომენის შესწავლა-გაცნობას პატარაობიდანვე აჩვევენ გვარის გამგრძელებელს...ერთმანეთს აქებენ ბებია-შვილიშვილი. ორივე ორ საუკუნეს მოსწრებული, მათგან ერთი ერთი საუკუნის წელში გამტეხავი, მეორე ჯერ ნახევარი საუკუნისაც ვერა.გამომშრალი, გამოფიტული თითებით ეფერება ბებია შვილიშვილს, ლოცავს, შვილიშვილი კი რაღაცნაირი დამორცხვებით, თუმცა, არა, უფრო თავმოწონებით გვიჩვენებს დარო ბებოს ბოლო ნამუშევარს-ყურთბალიშს, ლამაზ-ლამაზი გაზაფხულის ფერებით ნაქარგი პირით. და თანაც ამატებს: შარშან ორი საბანი შეკერა ბებომ, ეს ბალიშისპირიც მოამთავრაო. ჩვენს გაოცებას და აღფრთოვანებას საზღვარი არ აქვსისეთი ნაზი, ლამაზი ფერებია შერჩეული “მულინის” ძაფებისა, იქნებ 17-18წლის გოგონას გემოვნებით შერჩეულიც გეგონოთ ეს ფერები...

– თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული-შოთა გიორგაძე, სოფელ ვალეს სოფსაბჭოს თავმჯდომარე მოხალისედ წასულა ომში და უგზო-უკვლოდ დაკარგულა,-გვეუბნება გია.

იქნებ იმ უცვეთელი სიყვარულის გამოძახილია ეს ფერთა შეხამებაც 20 წლის დაროს რომ დაუტოვა 3 წლის ქალიშვილთან ერთად სამამულო ომის გზებზე ჩაფერფლილმა შოთამ? ვინ იცის?! სამი წლის წინ კი მათი ის ერთადერთი ქალიშვილიც სულთა საუფლოს შეუერთდა...

ვემშვიდობებით იუბილარს, მისი დალოცვა მოგვყვება, თავად ჭიშკრამდე ვერ გვაცილებს, მხოლოდ მისი იმედი და პატრონი გია მოგვყვება... მალე გიას გოგონაც დაამთავრებს სამედიცინო უნივერსიტეტის კურსიდან კურსზე გადასასვლელ გამოცდებს და დაუბრუნდება ბებოს ხმის გამცემად და მამის შემშველებლად, მიუჯდება ბებოს გვერდით და იტყვიან ამ მთისას და იმ მთისას. მეორე შვილიშვილიც-ზაზაც შემოივლის თავისი ცოლშვილით...

კახეთში მზე ჩვეულებრივად ამოვა, მზეს მთვარე შეენაცვლება, ზუსტად ისე, როგორც იქ, ვალეში...

აქ სამასწლოვანი პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია გადმოჰყურებს ათასწლოვან მესხეთში დაბადებულ-გაზრდილ ასწლოვან ქალს. მართლაც რომ ”სადაურსა სად წაიყვან”-ო, ამ ეკლესიის კედლების ქვებიც მესხეთიდანაა ჩამოზიდული-ღვთის სახლის ასაგებად და საგარეჯოელების რწმენის განსამტკიცებლად...

პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის შენობა-ნაგებობა 2012 წელს 300 წლის შესრულდა,დარო ბებო 100-ის. შემთხვევითობაა, დამთხვევა თუ ბუნების კანონზომიერება?! ყველაფერი კი ღვთის ნებაა...

თინა ილაური

სტუმრად იუბილართან

მართლმადიდებლობა

როგორ უნდა გვესმოდეს საუფლო ლოცვა

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ."



ამ ლოცვას საუფლო ეწოდება, რადგან ის თავად უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მისცა მოწაფეებს, როდესაც სთხოვეს, რომ მათთვის ლოცვა ესწავლებინა. ამიტომ ის უმთავრეს ლოცვად ითვლება. აქ ჩვენ მივმართავთ მამა ღმერთს-ყოვლადწმიდა სამების პირველ პირს. ლოცვა შვიდგზის ვედრებად განიყოფა და სადიდებლით მთავრდება.

+ **"მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..."** –ამ სიტყვებით მივმართავთ უფალს. ზეციურ მამას ვუწოდებთ მას და ვთხოვთ, რომ ისმინოს ჩვენი თხოვნა და ვედრება. როდესაც ვამბობთ, რომ იგი ზეცაში იმყოფება, უნდა წარმოვიდგინოთ სულიერი ზეცა, რომელიც ღმერთმა სამყაროს დაბადებამდე შექმნა.

+ **„წმინდა იყავნ სახელი შენი..."**– მოგვეხმარე, რომ წმიდად და სწორად ვიცხოვროთ და ჩვენი საქმეებით შენს ყოვლადწმიდა სახელს განვადიდებთ. **„მოვედინ სუფევა შენი..."** – ღირს გვყავ, რომ აქაც, მიწიერ ცხოვრებაში, დაემკვიდროს შენი მარადიული მეუფება, რომელიც არის სიმართლე, სიყვარული და მშვიდობა. გამეფდი ჩვენ შორის და წარმართე ჩვენი ცხოვრება.

+ **"იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა..."**–ანუ დაე, იყოს ყველაფერი არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა, არამედ იმგვარად, როგორც შენ გნებავს და მოგვეხმარე, დავემორჩილოთ შენს ნებას და დედამიწაზე ისევე უსიტყვოდ და უდრტვინველად აღვასრულებდეთ მას, როგორც ანგელოზები აღასრულებენ ზეციურ სავანეში–სიყვარულითა და მხიარულებით, რადგან მხოლოდ შენ იცი, რა არის საჭირო და სასარგებლო ჩვენთვის და შენ მხოლოდ გსურს ჩვენთვის სიკეთე, ვიდრე თავად ჩვენ –საკუთარი თავისთვის.

+ **"პური ჩვენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს..."**–მოგვეცი დღეს, ამჟამად ის პური, რომელიც ჩვენი არსებობისათვისაა საჭირო. აქ პურში იგულისხმება ყველაფერი, რაც მიწიერი ცხოვრებისთვისაა აუცილებელი: საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი–წმინდა ზიარება–ქრისტეს ყოვლადწმიდა სისხლისა და ხორცის სახით, რომლის გარეშე ცხონება შეუძლებელია. უფალი გვიქადაგებს, მოვითხოვოთ არა სიმდიდრე და ფუფუნება, არამედ ყველაზე აუცილებელი რამ, ყველაფერში ღმერთს მივენდოთ და გვახსოვდეს, რომ იგი, როგორც მამა, გამუდმებით ზრუნავს ჩვენზე.

+ **"და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა..."**–ისევე შეგვინდე ჩვენი ცოდვები, როგორც ჩვენ შევუნდობთ მათ, ვინც გვაწყენინა და განგვარისხა. ამ თხოვნაში ცოდვები "თანანადებად", "ვალებად" მოიხსენიება, რადგან უფალმა მოგვცა ნიჭი და შესაძლებლობა იმისათვის, რომ კეთილი საქმეები ვაკეთოთ, ჩვენ კი ყოველივე ამას ცოდვად და ბოროტებად ვაქცევთ და ღმერთის წინაშე "მევალეები" ვხდებით. და თუ გულწრფელად არ მივუტევებთ ჩვენ "მევალეებს", მაშინ არც უფალი გვაპატიებს ჩვენ.

+ **"და ნუ შემიყვანებ ჩუენ**

განსაცდელსა..."–განსაცდელი ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ვინმე ან რაიმე ცოდვისკენ გვიბიძგებს, გვაიძულებს, რაიმე ცუდი და უსჯულო საქმე მოვიმოქმედოთ. ამიტომ ვითხოვოთ, ნუ მოგვივლენს ისეთ განსაცდელს, რომლის გადატანასაც ვერ შევძლებთ.

+ **"არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან..."**–გვიხსენ ამქვეყნად არსებული ყოველგვარი ბოროტებისაგან და ბოროტების სათავის– ეშმაკისაგან, რომელიც ყოველთვის ჩვენს დასაღუპადაა გამზადებული. ვევედრებით უფალს, რათა გვიხსნას ჩვენ ამ ცბიერი ძალისა და მისი საცდურისაგან, რომელიც ღმერთის წინაშე არარაობაა.

ასამაღლებელი: "რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ"...–ანუ სწორედ შენ –ღმერთს ჩვენსას–მამას, ძეს და სულიწმიდას რომ გეკუთვნის მეფობა, ძალა და მარადიული დიდება, არის სიმართლე და ჭეშმარიტება. ამ ლოცვით ჩვენ ვადიდებთ და მადლობას ვწირავთ უფალს, წყალობას გამოვითხოვთ მისგან და ჩვენი ცოდვილი ცხოვრების გამო სინანულს გამოვხატავთ.

ხსოვნა

დილარი ლუკაშვილი

მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა. 2 აგვისტოს ორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დაგვტოვე. ყოველი დღის გათენება შენი ოჯახისათვის, ძმისშვილებისათვის-ვისთვისაც სუნთქავდი, მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. ავად იყავი, მაინც ოპტიმიზმით იყავი გამსჭვალული, ბოლომდე სამსახურში დადიოდი, სითბოს არ აკლებდი პატარებს, ძმისშვილებით ცოცხლობდი და სუნთქავდი...

დიდი ტკივილით წახვედი და დიდი ტკივილი დაგვიტოვე. გასახსენებელი უამრავი გვაქვს: შენი სიკეთე, შრომისმოყვარეობა, სულგრძელობა. ძალიან გვენატრები.ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე და ღმერთს ვთხოვოთ - ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

გვიყვარხარ და გვაკლიხარ ყველას.

ძმისშვილები, ოჯახი.

ხსოვნა

სულხან მჭედლიშვილი



ისევ მოვიდა უშენოდ 25 ივლისი, ავბედითი დღე. ეს თვე და ეს რიცხვი საშინლად გვძაგს. მან ერთმანეთს სამუდამოდ დაგვაშორა. უშენოდ გაილია ეს ორი წელიწადი-შენზე გლოვასა და მონატრებაში. მერედა რა ტკივილიანია ეს უშენობა ჩვენთვის ყველასგან გამორჩეულო, უზომოდ მშრომელო და საყვარელო პაპა! ისევ ხომ არ გტკივა გული? ჩვენ უშენობით ძალიან გვტკივა, რადგან ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მაგრამ, ვიცით, რომ კარგად იქნები,რადგან ჩვენი სურვილია ეს და ასე გვინდა

პაპა, დალოცე შენი ლამაზი ოჯახი, შენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი-გელუკა. გვენატრები, ძალიან გვენატრება შენი კეთილი გული და გულიანი სიცილი. პაპა, შენზე ლოცვითა და დარდით გადის დღეები... დაგვრჩა მხოლოდ შენთან გატარებული ტკბილი მოგონებები და უამრავი სურათი. უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და სპეტაკი სული.

შვილიშვილები თინიკო, სუხა, ეკა მჭედლიშვილები, დათო და ვალერი ნაკირელები.

დათო ბაღდადაშვილი

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის, ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე წარმატებული სწავლის შემდეგ დაუბრუნდი მშობლიურ რაიონს. გინდოდა შენი ცოდნა და ენერგია შენივე რაიონისა და ხალხისათვის მოგეხმარებინა. ამიტომაც მიგიღო რაიონის ხელმძღვანელობამ გულთბილად. აკი არც შენ გაუცრუე იმედები და სულ მალე გამოავლინე შენი ხალასი ნიჭი და სიკეთით სავსე გული. ბუნებისგან უხვად შემკობილს სახეზე გეწერა, რა იშვიათი ბუნების ადამიანი იყავი, შვილო. იშვიათი სულიერი სილამაზე გამშვენებდა... შენი ლამაზი ბუნება ვერ იტანდა დახლების სიცარიელეს და გინდოდა შენი ხალხისათვის მაღაზიები გაგევსო ფართო ასორტიმენტის საქონლით. შენ იყავი პირველი მერცხალი, პირველი ბიზნესმენი საქართველოსი, მაგრამ არ დაგცალდა, შვილო, ბოროტებმა მოგიღეს ბოლო.



მოდის შენი დაბადების დღე, 30 ივლისი, განუზომლად დიდი ტკივილითა და სევდით. 20 წელია დედას ენატრები, დათო. მენატრება შენი ლამაზი ღიმილი და პოეტური სიტყვები,ლამაზი იუმორით დამთავრებული. ვერავითარი დრო ვერ წაშლის ჩემს გულში ამ უსაშველო ტკივილს, მართლაც, ამ შეუხორცებელ იარას რა ეშველება?

ყველა ერმა ძმად მიგიღო დათო, შენმა უზბეკმა კოლეგამ ლამაზი ქართველი გიწოდა შვილო,აქ კი,არამზადა ქართველებმა ბარბაროსული სიკვდილი გარგუნეს არაფრის გულისათვის, ან იქნებ შენი სიკვდილით დიდი სიმდიდრე იშოვეს?!

შენ ხომ იშვიათი, საოცარი და ლამაზი სიცოცხლე გქონდა, სიკვდილიც გასაოცარი იყო, შვილო, მარცხენა თვალიდან ცრემლი გდიოდა... არ ვიცი, შენ ლამაზ ახალგაზრდობას, გაუხარელ სიცოცხლეს დასტიროდი, შვილო, თუ უშენოდ დარჩენილი მშობლები გეცოდებოდა, შვილო?! სიყვარულისთვის იყავი მოსული ამქვეყნად, მთელი ქვეყანა გიყვარდა, 5 წელი იმუშავე და ისეთი სიყვარული, სიკეთე დათესე, გულით დაგტიროდა ყველა. უმოკლეს დროში ჩამოყალიბდი წამყვან სპეციალისტად. როგორ გიყვარდა შენი პროფესია, შენი სამსახური. კაბინეტში ჯდომას სხვადასხვა რესპუბლიკაში ამჯობინებდი სიარულს საქონლის შემოსატანად. ყველგან როგორ გიმართლებდა, რა აღტაცებული და გახარებული ბრუნდებოდი. ძალიან მზრუნველი შვილი იყავი, ალბათ მეუღლე და მამაც ასეთი იქნებოდი, რომ დაგცლოდა, ასე როგორ გაგიმეტეს, შვილო?! დაბადების დღე გასვენების დღედ გიქციეს... რა დავუშავე მე,შენს მკვლელებს, რომ ყველაზე საშინელი და მძიმე ხვედრი მარგუნეს, შვილის სიკვდილი!!! ეს ხომ წამებაა დედისა, ცოცხლად წამება! 20 წელია უცრემლო ღამე აღარ არსებობს ჩემთვის...

მე შენთან ერთად დავამთავრე სიცოცხლე შვილო. შენი სამარე დედის გულია, წამი არ არსებობს შენზე ფიქრის გარეშე. დედა სულ გეფერება, გეჩურჩულება, გეალერსება, ვინც შენ ლამაზი სიცოცხლე ჩაგიმწარა, მჯერა, შვილო, რომ ღმერთი გამოუტანს განაჩენს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმშვენიერესი, სპეტაკი სული.

უბედური დედაშენი.

გამოცდა

ღირსეულად შევხვდეთ საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების 50 წლისთავს

აღმშენებლობითი ეტაპი დაიწყო

გულდასმით წავიკითხე გაზეთ „გარეჯის მაცნეში“ გამოქვეყნებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდდეს საგარეჯოს ქალაქდ გამოცხადების 50-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნის დღისათვის.

სასიამოვნოა და გულს ახარებს – სულ მოკლე დროში როგორ დამშვენდა გარეკახეთის ყოფილი უპირველესი სოფელი და შემდეგ მთავარი ცენტრი – საგარეჯო თავისი არსებობის უახლოეს წლებში. ამ წერილის ავტორს კარგად მახსოვს, თუ რას წარმოადგენდა საგარეჯო გასული საუკუნის 30-იან წლებში. მაშინდელი საგარეჯოს მთავარი ქუჩები – ახლანდელი დავით აღმაშენებლის, ერეკლე II-ის და რუსთაველის. ისინი წარმოადგენდნენ რიყედქცეულ, ღორღით მოფენილ საურმე გზებსა და ორღობეებს, რომლის ორივე მხრიდან ჩამწკრივებული იყო ერთსართულიანი, წითელი კრამიტით გადახურული უბადრუკი სახლები, „სათავიდან“ მორაკრაკე ნაკადულებით, რომელიც ერთიან ედემის ბაღად აქცევდა მთელ სოფელს, მაგრამ სოფელი მაინც სოფელი იყო თავისი პატრიარქალურ-კარჩაკეტილი ცხოვრებით და წყალუხვი წყაროებით, რომლის მცხოვრებნი საეკლესიო დღესასწაულების დროს თუ ზეიმობდნენ და დროს ატარებდნენ „ხატიკაკლების“ სამასწლოვანი კაკლების ჩრდილში, ან წყლის სათავის ტყე-პარკში.

ისიც კარგად მახსოვს, სოფელი საგარეჯო დაბად რომ გამოცხადდა. ბაზრის უბანში რაიკომის ეზოში რაიკომის ბიუროების ჩატარება, იმ დროს ბევრი ცხენოსანი იყრიდა თავს, ბიუროს სხდომები გათენებამდე გრძელდებოდა. ახლანდელი ქალაქის მერიის შენობის მშენებლობაც კარგად მახსოვს, რომელიც აშენდა 1954 წელს საგარეჯოს ყველაზე მჭიდრო, ხებრელაშვილების უბანში. მაშინ ახლანდელი ქალაქის ცენტრალური მოედნის ტერიტორიაზე 50-ზე მეტი ოჯახი იყო დასახლებული და ისინი ქალაქის სხვადასხვა უბანსი გადაასახლეს.

ბევრი რამ მახსოვს. საგარეჯოს მატიანეს ნაწარმოებდი და ვცდილობდი არაფერი გამომრჩენოდა. საგარეჯოს ისტორიისათვის მასალებს ვაგროვებდი, ვგონებ მნიშვნელოვანი არაფერი გამომეტოვებია. ჩემს თვალწინ სოფელი ქალაქად როგორ გარდაისახებოდა, ყველაფერს ჩემს მატიანეში, დაწვრილებით აღვნუსხავდი, ყველა ქარხნის, კულტურული მემკვიდრეობის ყველა ნიუანსს თავის ადგილს მივუჩენდი ხოლმე.

ქალაქმა საგარეჯომ ფუძემდებლური სახეცვლილება განიცადა XX საუკუნის გრანდიოზული, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის პერიოდიდან, რომლის მშენებლობაც საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების წლებს დაემთხვა და საგარეჯოს აღორძინება-განვითარების საქმეში დიდი როლიც შეასრულა. ამ გრანდიოზულმა მშენებლობამ მოიზიდა და ამ საუკუნოვან მშენებლობაში ჩაება, როგორც საგარეჯოს რაიონის სოფლების, ისე მეზობელი რაიონების ჭარბი მუშახელი და საგარეჯო გადაიქცა ერთ დიდ სამსენებლო მოედნად.

გასული საუკუნის 70-იანი წლები იყო საგარეჯოს ისტორიის არსებობის მანძილზე ნამდვილი ნიშან-სვეტი და ეს აღმავლობის წლები უეცრად შეაჩერა იმ დიდმა სოციალ-ეკონომიურმა კრიზისმა, რომელმაც გამოუსწორებელი კვალი დაჩნია არა მარტო ქალაქ საგარეჯოს, არამედ მთელ საქართველოს. თუ 1970-იან წლებში საგარეჯოს მოსახლეობამ თითქმის 12 ათასს მიაღწია, ამ დიდი კრიზისის მომდევნო წლებში ათეულობით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ლიკვიდაციის შედეგად საგარეჯოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაკარგა თითქმის 1/3 რადგან მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საარსებო საშუალებების საძებნელად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს მიაშურა.

გავიდა დრო და მიუხედავად ზემოთქმულისა, მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. ქ. საგარეჯო და მისი სოფლები ახლა კარგად გამოიყურებიან. ბევრი რამ გაკეთდა ქ. საგარეჯოს იერ-სახის გასაუმჯობესებლად. თვალსა და გულს ახარებს გალამაზებული ქუჩები, ახალი კეთილმოწყობილი შენობები, მარკეტები, ინფრასტრუქტურა.

გასული 20 წელი ქ. საგარეჯოს მოსახლეობისათვის გაუსაძლისი და ძნელად ასატანი იყო. დადგა დრო რათა დიამეტრალურად შეიცვალოს დრო ქვეყნის აღმშენებლობისათვის. კარგია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, მისი გამგებელი და მთელი ხელმძღვანელობა ბევრს ზრუნავს რათა საგარეჯო ქალაქად გამოცხადებიდან 50-ე წლისთავს ღირსეულად შეხვდეს და ეს თარიღი ნიშანსვეტად იქცეს მისი აღმავლობისათვის, ისე, როგორც ეს მოხდა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა სოფელ საგარეჯოს მხსნელად და შემწედ მოევლინა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოგზავნილი სახალხო მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე. ამ მადლმოსილმა კაცმა იმედის ნაპერწკალი აანთო და დიდ კოცონად აქცია მისი მადლი. ალექსანდრე ცხვედაძეს გვერდით დაუდგა საგარეჯოს მამასახლისი ზურაბ მაკანტალაშვილი და მოკლე დროში აშენდა დაწყებითი სკოლის ლამაზი ერთსართულიანი შენობა ბელეტაჟზე, საფუძველი ჩაეყარა ბაზრის უბნის ახლანდელი ერეკლე II-ის ქუჩის განაშენიანებას.

სახალხო მასწავლებელ ალექსანდრე ცხვედაძის სახელთანაა დაკავშირებული მთელ გარეკახეთში დაწყებითი სკოლების გახსნა. 1875 წელს საგარეჯოში I თეატრის, I ბიბლიოთეკის, I კოოპერატივის, I ბანკის, I ბაზრის, I სამკურნალოს აფთიაქის და სხვა დაწესებულებების, სოფლის ფორუმად ქცეული I დიდი სასწორის ყაფანის დამონტაჟება.

უფრო წინა საუკუნეებში საგარეჯოს მეორედ ამაღორძინებლად და აღმდგენელად მოევლინა დიდი ქართველი პატრიოტი, დავით გარეჯის მონასტრების წინამძღვარი ონოფრე მაჭუტაძე (1690-1736წწ), რომელმაც მკვდრეთით აღადგინა შაჰ-აბასის ყიზილბაშებისაგან მოსპობილი და გადამწვარი მთელი დავით გარეჯა და მთელი გარე კახეთი. მის სახელთანაა დაკავშირებული დავით გარეჯის სამხედრო-თავდაცვითი ნაგებობებისა და თვალ-საგარეჯოში პეტრე-პავლეს ეკლესიის აშენება.

დღეს საგარეჯოს საქალაქო აღმშენებლობით ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, დიდი ფერისცვალების პროცესი. მიმაჩნია, რომ ჩვენი სამზადისი საგარეჯოს ქალაქად კურთხევის 50-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის საკმარისი არ არის, გარდა გარეგნული იერ-სახის გალამაზებისა, კარგი იქნებოდა ერთი ქარხნის, ერთი საწარმოს აშენება. აუცილებლად უნდა აღდგეს კახეთის რკინიგზა და ქვემო სამგორის სარწყავი არხის სატუმბი სადგურები.

ალექსანდრე ელერდაშვილი,
84 წლის მწერალი და დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი

სარეაბილიტაციო ცენტრი

...მათ შორის იპოთერაპიაც

მეოთხე წელია, რაც საგარეჯოში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო სახლი – „სათავე“. რომლის ძირითადი ფუნქციაა დაეხმაროს ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, გონებრივი ჩამორჩენილობით, ჰიპერაქტივობისა და ყურადღების დეფიციტის სინდრომით დაავადებულ პირებს, ასევე ცენტრალური ნერვული სისტემიდან გამომდინარე ისეთი დაავადებებით, როგორიცაა პარკინსონით, გაფანტული სკლეროზით, ინსულტით და სპინალური დაზიანებებით დაავადებულ ადამიანებს; მათი შესაძლებლობების რეალიზაციასა და საზოგადოებაში დამკვიდრების საქმეში. საამისოდ ამ სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებაში შექმნილია ყველა თანამედროვე პირობა, ჰყავთ კვალიფიციური სამედიცინო კადრები, რომელთა საქმიანობას სათავეში უდგას საქართველოს იპოთერაპიის ასოციაცია „სათავეს“ ვიცეპრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანანა რუხაძე.

იპოთერაპია (ცხენით მკურნალობა) – ასე ჰქვია მკურნალობის მეთოდს, რომლითაც აქ მოსულ პაციენტებს მკურნალობენ. ეს მეთოდი ფართოდ აპრობირებული, უნიკალური მეთოდია, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყნებშია დანერგილი. ამ მეთოდით მკურნალობისას პაციენტი ხდება უფრო მობილიზებული და საშუალებას იძლევა ავადმყოფი ინვალიდის ეტლიდან გადაჯდეს ცხენზე, ანუ ჩაკეტილი სივრციდან გამოვიდეს ბუნებაში. გარდა აღნიშნულისა, აქ პაციენტებს ემსახურებიან არტთერაპიის, ოკუპაციური თერაპიის, მანუალური თერაპიის, ფიზიკური თერაპიის, აპარატიული ფიზიოთერაპიის სპეციალისტები, მკურნალობენ სქოლიოზზე. ასოციაცია „სათავის“ მსგავსი სარეაბილიტაციო დაწესებულება საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. იგი უნიკალურია იმითაც, რომ ეს არის ოჯახური ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ცალკეული პაციენტების გარდა, ნებისმიერ ოჯახს შეუძლია გაიაროს სარეაბილიტაციო კურსი, იცხოვროს და დაისვენოს.

აღნიშნული ცენტრი, საგარეჯოს სათავის სიახლოვეს, ტყეში, ბუნების წიაღშია აშენებული. თანამედროვე სატრენაჟორო შესაძლებლობების გარდა, ჰყავთ იპოთერაპიის (ცხენით მკურნალობის) აუცილებელი სუბიექტი – ერთი ცხენი და სათანადო სასეირნო მოედანი. ცენტრის ხელმძღვანელობა ცდილობს აღნიშნულზე არ შეჩერდეს და უფრო მეტი სიახლე დანერგოს თავის პრაქტიკაში. სწორედ ამის გამოძახილია ივლისის პირველ ნახევარში ცენტრის ბაზაზე პოლონეთის იპოთერაპიის საზოგადოების ცენტრალური მმართველობის იაკშიცეს იპოთერაპიის ცენტრის მიერ ჩატარებული ერთკვირიანი სემინარები იპოთერაპევტებისათვის. აქ ამ განხრის სტუდენტებსა და თავისუფალ მსმენელებს იპოთერაპიაში პოლონეთში დაგროვილი და აპრობირებული გამოცდილების შესახებ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარეს აღნიშნული ცენტრის წარმომადგენლებმა დარიუშ მატციმ, მაგდა მატციმ და მაგდა ნემეცმა. ასევე მსმენელებს დაურიგდათ პოლონეთის იპოთერაპიის კანონები. თანადროულად, სემინარებზე ჩამოსულ პოლონელ სტუმრებს გააცნეს ასოციაცია „სათავეში“ ამ კუთხით გაწეული მუშაობის შედეგები.

– ჩვენს ასოციაციაში ჩატარებული აღნიშნული სემინარები, თქვა ჩვენთან საუბარში „სათავის“ წარმომადგენელმა ზაზა (ზოსიმე) გზირიშვილმა, მთლიანად ორგანიზებულია პოლონური ასოციაცია „არი-არის“ მიერ და ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში აღნიშნული მეთოდით მკურნალობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. სემინარების დამთავრების შემდეგ. მსმენელები გაივლიან სერტიფიცირებას და გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები. მთავარი ამ საქმეში კი ის არის, რომ ჩვენი მედიკოსები უფრო უკეთ დაეუფლებიან ცხენით მკურნალობის ფორმებსა და მეთოდებს. რაც შეეხება „სათავის“ მომავალ მიზნებს, აქ მიმდინარეობს მთელი რიგი სამუშაოებისა, მისი მუშაობის არეალის გასაფართოებლად პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ შენდება ახალი თავლა, რაც საშუალებას მოგვცემს ერთის ნაცვლად, მომავალში ვიყოლიოთ სამი სავარჯიშო ცხენი, რაც იპოთერაპიით მკურნალობის მსურველთა რიცხვის გაზრდის შანსს მოგვცემს. მომავლისათვის იგეგმება მუშაობაში დავნერგოთ კანესთერაპიით (ძაღლით მკურნალობა) მკურნალობის მეთოდებიც. ერთი სიტყვით „სათავეს“ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ საგარეჯოშიც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების დონე, ამით კი უფრო მეტი შანსი მივცეთ მათ საზოგადოებაში ადაპტირება-დამკვიდრების საქმეში, რისი მაგალითებიც ჩვენს ქვეყანაში არაერთი გვაქვს, ხოლო თუ როგორ გამოგვივა ეს საქმე, ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

დმერთი შეეწიოს „სათავეს“ და მის თანამშრომლებს ამ კეთილშობილური მისიის განხორციელების საქმეში.

გივი დაბახიშვილი

კულტურული ცხოვრება

„კასლეთილა“ პოლონეთსაც ეწვია

უდაბნოს სვან ქალთა ანსამბლი “კასლეთილა“ 2009 წელს შეიქმნა. მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელია ფირია მარგიანი, ქალი,რომელსაც როგორც თვითონ ამბობს, არავითარი მუსიკალური განათლება არ მიუღია და არც სიმღერა არ უსწავლებია პროფესიონალს. უბრალოდ, მღეროდნენ მის ოჯახში მისი წინაპრები, ბებიები, დედა და მათგან გენეტიკურად გადმოეცა სიმღერის ნიჭი და მადლი. ასეთივენი არიან ანსამბლის სხვა წევრები. ისინი სხვადასხვა ასაკისანი არიან–ანსამბლის 10 წევრს შორის ხნოვანებიც არიან და ახალგაზრდებიც. მათი სიმღერის რეპერტუარიც ასეთივეა–მღერიან როგორც ძირძველ, ისე შედარებით მოგვიანო ხანის სვანურ ხალხურ სიმღერებს, მათ შორის ქალთა უძველეს საფერხულო სიმღერებს.

გაგაცნობთ მათ. აი, ისინიც– თავად ფიქრია, მისი და –ხათუნა და დედა – ლია პირველი, ცუცა ნავერიანი, დები–ნაზი და დოდო ფარჯიანები, თამარ და ნანა გვიდანები, ირმა მუკვანი, თამთა თამლიანი. მათგან სიმღ რასთან ერთად ცეკვავენ ნანა გვიდანი, ნაზი ფარჯიანი, ხათუნა მარგიანი, თამარ თამლიანი.

ძირითადი სოლისტები არიან ცუცა ნავერიანი, ლია პირველი, დოდო ფარჯიანი, ირმა მუკვანი და თამარ გვიდანი.

“კასლეთილას” წევრთა სახელმა საქვეყნოდ შარშან “არტგენი 2011”–ზე გაიბრწყინა,სადაც ანსამბლი ორი სვანური საფერხულო სიმღერით “კასლეთილა” და “თამარ დედოფალი” წარსდგა. ეს სიმღერები , თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის გარდა, მათ მირზაანშიც გააჟღერეს. სწორედ “არტგენში”მათი მონაწილეობა გახდა ანსამბლის პოლონეთში მოგზაურობის მიზეზიც. საქმე ის გახლავთ, რომ პოლონელები ქალთა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალისათვის ეძებდნენ ქართველ შემსრულებლებს, მაგრამ ვერ მოახერხეს “კასლეთილას” კონცერტის ნახვა. მიუხედავად ამისა, მათ გადმოცემის საფუძველზე ანსამბლი “კასლეთილა” მაინც მიიწვიეს პოლონეთის ვროცლოვის ბრეის და სჩიჩინის კანის ფესტივალზე.

–პოლონეთში სულ 10 დღე დავყავით,–გვიყვება ამ დღეებში უდაბნოში დაბრუნებული ანსამბლის ხელმძღვანელი,–მოგზაურობის და მთელი ხარჯებიც პოლონეთმა გაიღო. ბრეიზე კონტრაქტით ერთ საათიანი კონცერტი გვქონდა დაგეგმილი. ამ ერთ საათში ჩვენ 20 სვანურ სიმღერას ვასრულებდით და მიუხედავად იმისა, რომ ევროპელები დროზე გათვლილი ხალხია, იმდენად მოსწონდათ ჩვენი სიმღერები, რომ მათ ხშირად გვამეორებინებდნენ და ამის გამო ერთი საათის ნაცვლად, რეგლამენტი 30 წუთით მაინც გვიგრძელდებოდა. ორი კონცერტის მერე, ჩვენს მოსასმენად ვროცლოვის დიდ დარბაზში იმდენი ხალხი გროვდებოდა, რომ ტევა არ იყო და მაყურებელი ფეხზეც კი იდგა.

რაც შეეხება სჩიჩინს, აქ კონცერტების გამართვა კათოლიკურ ეკლესიაში მოგვიწია. რაც შეეხება თვითონ ფესტივალს, მასში მონაწილეობდნენ ბრაზილიის, ტანზანიის, ინდოეთის, აბორიგენების, ინდიელების ფოლკლორული ანსამბლები, სადაც ამ დრომდე არის შემორჩენილი უძველესი ეროვნული სიმღერები. არ მინდა თავის ქებად ჩამომერთვას, მაგრამ ვიტყვი, რომ თუ ამ ანსამბლებს ყველგან თითო კონცერტის გამართვა მოუწია,“კასლეთილას” ორ–ორი . იყო დიდი ოვაციები, მოწონება, ტაში და ყვავილები.

სანამ პოლონეთში გავემგზავრებოდით, მანამდე ჩვენ დაგვიკავშირდნენ ჩეხები და შესაძლებელია საშემოდგომოდ ჩეხეთში მიგვიწვიონ. ველით მიწვევებს იმავე პოლონელებისგან აგვისტოსა და სექტემბერში. არის კიდევ სხვა წინადადებები ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს თანასოფლელს ოთარ ფარჯიანს, რომელიც უანგაროდ გვეხმარება მივიწყებული ძველი სვანური ქალთა საფერხულო სიმღე რების მოძიება–აღდგენის საქმეში. დიდი მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ხელმძღვანელობას, ყველას, ყველას, ვისაც კი მცირეოდენი წვლილი მიუძღვის “კასლეთილას” წინაშე, ვინც ჩვენი ანსამბლის საკეთილდღეოდ გაიხარჯა და დაგვეხმარა.

„იმედი“ – ბაიბურთის უცვლელი და სანაზრელი სუმბარი

დასასრული

– აღნიშნული ფესტივალი არ ატარებს რაიმე საკონკურსო ხასიათს, რომ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. მისი მიზანია თურქი მაყურებელი აზიაროს მსოფლიო ხალხების ნაციონალურ კულტურას. აქედან გამომდინარე რაიმე განსაკუთრებული ჯილდო ჩვენთვის არ მოუციათ. ყველაზე დიდი ჯილდო ჩვენთვის ის დიდი სიყვარული და პატივისცემაა, რითაც ისინი გვხვდებიან ხოლმე ბაიბურთში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათმა მხარემ ნაწილობრივ დაგვფინანსა ბაიბურთსა და უკან მგზავრობის ხარჯები. ბინითა და საკვებით კი ძირითადად მათ მიერ ვიყავით უზრუნველყოფილი. არა მგონია სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ჰქონდეთ იმდენი პატივისცემა და დაფასება,რითაც ჩვენი ანსამბლი სარგებლობს მათში.

ვბრუნდებოდით უკან საგარეჯოში და მოგვაცილებდა ბაიბურთელი მაყურებლის გაღიმებულ ცრემლმორეული სახეები: – გაისად როდის ეწვევიან და გაახარებენ გურჯი პატარები თავიანთი შემოქმედებით აქაურებს?

– ღმერთმა ნუ მოუშალოთ ასეთი სადაგი და სასიხარულო დღეები ჩვენს პატარა „იმედელებს“ და მათ აღმზრდელებს.

კახეთის ფრანგულენოვანი სასკოლო თეატრების ფესტივალი საგარეჯოში

30 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით საგარეჯოში ჩატარდა კახეთის მხარის ფრანგულენოვანი სასკოლოო თეატრების ფესტივალი, რომელშიც რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სასკოლოო თეატრები იღებდნენ მონაწილეობას. ფესტივალი ორგანიზებული იყო კახეთთან დამობილებული საფრანგეთის იონის მხარის მიერ. ფესტივალში მონაწილე სასკოლო დასებს უნდა წარმოედგინათ 15 წუთიანი მონო სპექტაკლები, რომელთაგანაც გამარჯვებული კოლექტივის წევრები მოიპოვებდნენ უფლებას ემოგზაურათ საფრანგეთში, გასცნობოდნენ პარიზსა და ქვეყნის სხვა ღირსშესანიშნაობებს. ფესტივალში კახეთის სხვა ფრანგულევან თეატრებთან ერთად კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ამ ფესტივალების ორგზის ზედიზედ გამარჯვებული პატარძეულის სკოლა-ლიცეუმის თეატრალები.

ფესტივალის გახსნის დღეს ფრანგული და ქართული დროშებით მორთული შეეგება საგარეჯოს ცენტრი. საგარეჯოს კულტურის სახლიდან მოეწყო ფესტივალში მონაწილეთა საზეიმო მსვლელობა აღმაშენებლის ქუჩაზე, რომელიც ისევ კულტსახლთან დასრულდა. მსვლელობაში თეატრალურ კოლექტივებთან მონაწილეობდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავეები და მარინა ურდულაშვილის ვოკალური სტუდიის მომღერლები, რომელთა ძალებითაც კულტურის სახლის წინა მოედანზე ჩატარდა კონცერტი. კონცერტის შემდეგ ფესტივალის მონაწილეებმა ქართული და ფრანგული დროშების თანხლებით საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლეს. ჩატარდა ფრანგული მუსიკის კონცერტი საგარეჯოელებისათვის ცნობილ;ი კვარტეტის მიერ.

მუსიკალური კონცერტის შემდეგ ჩატარდა მონო-სპექტაკლების დათვალიერება, სადაც გამარჯვება და საფრანგეთში მოგზაურობის უფლება სოფელ გურჯაანის ფრანგულენოვანი სასკოლო თეატრის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

ფესტივალის დახურვისას გაიმართა კონცერტი „იმედის“ მოცეკვავეებისა და მარინა ურდულაშვილის ვოკალური სტუდიის ბავშვების ძალებით. ფესტივალზე უმაღლეს დონეზე შეფასდა პატარძეულის სკოლა-ლიცეუმის ბავშვების სასცენო ხელოვნება.

საგარეჯოში ჩატარებული ფრანგულენოვანი სასკოლო თეატრების ფესტივალს ესწრებოდნენ: საქართველოში საფრანგეთის საელჩოს წარემომადგენლები და ატაშე კულტურის დარგში,ასევე კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლ;ები.

ფესტივალმა გულთბილ მაღალორგანიზებულ დონეზე ჩაიარა.

ეს შეხვედრები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კახელი და ფრანგი ხალხების შემდგომი დაახლოების საქმეს.

გვერდი მოამზადა
გივი დაბახიშვილმა

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com